



# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 5

2016 წლის 1 თებერვალი

ხაშური



სსიპ ხაშურის №9 საჯარო სკოლისათვის შოთა რუსთაველის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით თანხმობის გაცემის შესახებ


სსიპ ქალაქ ხაშურის №9 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭომ მიმდინარე წლის 9 დეკემბერს განიხილა მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივა სკოლისათვის „შოთა რუსთაველის“ სახელის მინიჭების შესახებ. სამეურვეო საბჭომ დოკუმენტაცია განსახილველად და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგინა მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-4<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად,

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა სსიპ ხაშურის №9 საჯარო სკოლას შოთა რუსთაველის სახელის მინიჭების თაობაზე.
2. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე [www.khashuri.org.ge](http://www.khashuri.org.ge)-ზე გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მ. კოსტავას ქ. N15).

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე